სიგნალების გადასაცემად წყაროდან პირველი მაძლიერებელი ელემენტის შესავალზე, პირველი მაძლიერებლის გამოსავალიდან მეორე მაძლიერებლის შესასვლელზე და ა. შ. გამოიყენება სხვადასხვა სახის კავშირის სქემები. სქემის არჩევა დამოკიდებულია დასაშვები სიხშირეების ფარდობაზე, ფაზურ და გარდამავალ დამახინჯებებზე. არსებობს კავშირის ოთხი ძირითადი სქემა: პირდაპირი (უშუალო), რეოსტატულ-ტევადური, ტრანსფორმატორული და დროსელური. კავშირის სქემის გამოყენების მახედვით განისაზღვრება მაძლიერებელი კასკადის დასახელება.

4. 10 ნახ.-ზე გამოსახულია კასკადი პირდაპირი (უშუალო) კავში-




ნახ. 4. 10.

რით. ამ სქემაში  $R_a$  რეზისტორი მაძლიერებელი ელემენტის დატვირთვის წინაღობაა, რომელზეც გამოიყოფა სიგნალის ძაბვა. ამავე რეზისტორის გავლით მკვებავი ძაბვა მიეწოდება გამომავალ ელექტროდს — ანოდს. სქემა საშუალებას იძლევა გავაძლიეროთ სიგნალები, რომელთა მინიმალური სიხშირე ნულია. ასეთი კასკადი აძლიერებს სიგნალის დენის და ძაბვის როგორც ცვლად შემდგენს, ასევე მათ მუდმივ შემდგენებსაც. ეს კასკადები ფართოდ გამოიყენება მუდმივი დენის მაძლიერებლებში. მათი ერთ-ერთი ნაკლია ის, რომ მილაკის კათოდის წრედის კვებისათვის აუცილებელია

გამოიყენოთ დამატებითი კვების წყალი. აღნიშნული ნაკლის გამო, ეს სქემა ცვლადი დენის მაძლიერებლებში იშვიათად გამოიყენება.


4. 11. ნახ.-ზე მოცემულია კასკადი რეოსტატულ-ტევალობიანი კავშირით. ამ სქემაშიც, ისევე როგორც პირდაპირი კავშირის მქონე



ნახ. 4. 11.

კასკადის სქემაში,  $R_a$  რეზისტორი მაძლიერებელი ელემენტის დატვირთვაა, რომელზეც გამოიყოფა გაძლიერებული სიგნალი. გამყოფი  $C_p$  კონდენსატორი არ ატარებს მუდმივ დენს, მაგრამ ამავე დროს გააჩნია მცირე წინალობა გასაძლიერებელი სიგნალის დენისადმი. ასეთი კავშირი ფართოდ გამოიყენება მაძლიერებლის წინასწარ კასკადებში, რადგან წარმოქმნის შედარებით მცირე სიხშირულ, ფაზურ და გარდამავალ დამახინჯებებს, ამავე დროს სხვა სქემებთან შედარებით ეკონომიურია. ბოლო კასკადებში ეს სქემა არ გამოიყენება, რადგან მაძლიერებლის მიერ გაცემული მთელი სიმძლავრე იყარება დატვირთვის წინალობაზე.


მაძლიერებლის ბოლო კასკადებში ფართოდ გამოიყენება ტრანსფორმატორული კავშირი (ნახ. 4. 12.). ამ სქემაში მაძლიერებელი



ნახ. 4. 12.

ელემენტის გამომავალი წრედი იკვებება ტრანსფორმატორის პირველადი გრაგნილის გავლით. გამომავალი დენის ცვლადი შემდგენი, გამავალი პირველად გრაგნილში, წარმოქმნის დენს ტრანსფორმატორის მეორეულ გრაგნილში. ტრანსფორმატორის გამოყენება კავშირის ელემენტად, შესაბამისი ტრანსფორმატის კოეფიციენტის შეჩინევისას, იძლევა მაძლიერებელი ელემენტისათვის ხელსაყრელი დატვირთვის და დატვირთვაზე უდიდესი შესაძლო ძაბვის ან სიმძლავრის მიღების საშუალებას. ტრანსფორმატორული კასკადი რეოსტატულთან შედარებით წარმოქმნის მნიშვნელოვან სიხშირულ, ფაზურ და გარდამავალ დამახინჯებებს.

დროსელური კავშირის მქონე კასკადის სქემა (ნახ. 4. 13) ანალოგიურია რეოსტატულ-ტევალური სქემისა, მხოლოდ აქ Ra ჩერ-




ნახ. 4. 13.

ზისტორი შეცვლილია დაბალი სიხშირის დროსელით. სქემა შესაძლებლობას იძლევა ანოდური წრედის კვებისათვის გამოყენებულ იქნეს წყარო ნაკლები ძაბვით. ვიდრე რეოსტატულში, რადგან დროსელს მცირე ომური წინაღობა აქვს. დროსელური კავშირის სქემა რეოსტატულთან შედარებით წარმოქმნის დიდი სიღილის სიხშირულ, ფაზურ და გარდამავალ დამახინჯებებს, რის გამოც იშვიათად გამოიყენება.

### მა-5 თ ა 3 ი. ჟავომატიკი ტელევიზორების ძირითადი გლობაზი

ტელევიზორის რასტრის, გამოსახულებისა და ხმის უზრუნველყოფები კასკადები შეიძლება გავაერთიანოთ რვა ძირითად ბლოკში (ნახ. 5. 1.).



ნახ. 5r 1.

1. მაღალსიხშირული ბლოკი გამოიყენება მიმღების შესასვლელი წინაღობის შესათანხმებლად ანტენის ფილტრთან, საჭირო პროგრამის მისაღებად არხის შერჩევისას. მიღებული სიგნალების გაძლიერებისა და შუალედური სიხშირის სიგნალებად გარდასაჭმნელად. ეს ბლოკი საერთოა გამოსახულებისა და ხმის სიგნალებისათვის; მზადდება უნიფიცირებული, ცალკე ბლოკის სახით. ბლოკის აუცილებელი ნაწილია სატელევიზიო არხების გადამზრდებული. პეტეროლინის სიხშირის შეზუსტება სქემის მიხედვით შეიძლება მოხდეს ავტომატურად ან ხელით რეგულირების საშუალებით. მაღალსიხშირული ბლოკიდან გამოსახულებისა და ხმის შუალედური სიხშირეები გადაეცემა გამოსახულების არხს.

2. გამოსახულების არხი გამოიყენება: გამოსახულებისა და ხმის შეაღებური სიხშირების გასაძლიერებლად, ვიდეოსიგნალის გამოსაყოფად და გასაძლიერებლად კინესკოპის სივის დენის მოდულური ცვლის საჭირო დონეზე. გამოსახულების არხთან დაკავშირებულია სიკაშვაშის და კონტრასტულობის რეგულირება. ვიდეოსიგნალი ბლოკის გამოსავლიდან მიეწოდება კინესკოპს, სინქრონიზაციის ბლოკს და გაძლიერების ავტომატურა რეგულირების (გარ) სქემას. ვიდეოდეტექტორის შემდეგ წარმოქმნილი სხვაობითი სიხშირე 6.5 მგვტ მიეწოდება ბერებით არხს.

3. ბერებით არხი აძლიერებს სხვაობით სიხშირეს, გარდაქმნის სიხშირულ-მოდულირებულ რხევებს დაბალი სიხშირის რხევებად, რომლებსაც აძლიერებს ხმამაღლამოლაპარაკებულ საჭირო ბერების წნევის მისაღებად. ბერებით არხში რეგულირდება ხმამაღლობა და ტემპი.

4. გაშლის ბლოკი გადაადგილებს ეკრანზე სივის და წარმოქმნის განათებულ მართვულ ხელს, შედგენილს ჰორიზონტალური ხაზებისა-გან (რესტრი). იგი უერთიანებს სივის ჰორიზონტალურად (სტრიქონული გაშლა) და ვერტიკალურად (კადრული გაშლა) გადამხრელ კასკადებს, აგრეთვე გადამხრელ სისტემას. ზოგიერთ ტელევიზორებში ამავე ბლოკშია გაერთიანებული გამოსახულების ზომების ავტომატური სტაბილიზაციის მოწყობილობა.

5. მაღალვოლტიანი გამმართველი, სტრიქონული ტრანსფორმატორის ამამაღლებელ გრავილში სივის უკუსვლის დროს წარმოქმნილ იმპულსებს გარდაქმნის კინესკოპის ანოდის კვებისათვის საჭირო მუდმივ 16 კვ ძაბვად.


6. სინქრონიზაციის ბლოკი ვიდეომაძლიერებლიდან მიღებული ვიდეოსიგნალებიდან გამოყოფს კადრებისა და სტრიქონების სინქრონიზაციის სიგნალებს, აძლიერებს სინქრონარევ სიგნალებს და აყალიბებს სტრიქონულ და კადრულ იმპულსებს. თანამედროვე ტელევიზორებში სინქრონიზაციის ბლოკთან დაკავშირებულია სტრიქონული გაშლის სიხშირისა და ფაზის ავტომატური შეზუსტების სქემა.

7. დაბალვოლტიანი გამმართველი გამოიყენება მილაკების ანოდების, მაკრანებელი და მმართველი ბადეების კვებისათვის.

8. კინესკოპი და ელექტრონული სივის მმართველი ორგანოები გამოიყენება ელექტრონული სივის ენერგიის გარდასაჭმნელად ხილულ სინათლედ და ეკრანზე გამოსახულების მისაღებად. ელექტრონული სივის მართვის ორგანოებია: სიკაშვაშის, დაცუნტრებისა და დაფოკუსების მარეგულირებელი მოწყობილობები.

## 5. 1. მაღალსიხშირული გლობის პტკ-10Б-ს სერა

მაღალსიხშირული ბლოკი პტკ-10Б შეიცავს მაღალი სიხშირის მაძლიერებელს, შემრევსა და ჰეტეროდინს, უზრუნველყოფს მიღებას თორმეტ სატელევიზიო არხზე ტალღების მეტრულ დიაპაზონში (ნახ. 5. 2.).



ნახ. 5. 2.

მაღალი სიხშირის მაძლიერებელი (მსმ) აწყობილია ლ1-6Н23П ტიპის ორმაგ დიოდზე. მაძლიერებლის პირველი კასკადი შესრულებულია ჩამიწებული კათოდის სქემით. მეორე კი ჩამიწებული ბაზის სქემით. ტრიოდების შეერთების ასეთი სქემა უზრუნველყოფს საჭირო გაძლიერებას მინიმალური ხმაურის დროს. ბლოკის შესასვლელი არასიმეტრიულია. გათვალისწინებულია 75 ომი ტალღური წინალობის მქონე კოაქ्सიალური კაბელის მისაერთობლად. შემავალი წრედი შესრულებულია ტრანსფორმატორული სქემით. ანტენის ფილტრსა და შემავალი წრედის ტრანსფორმატორის პირველი გრაგნილს შორის ჩართულია 37.5 მგვ სიხშირეზე აწყობილი L64C19 ფილტრი. რომელიც უზრუნველყოფს სიგნალების ჩახშობას 35—38 მგვ სიხშირულ დიაპაზონში 100-ჯერ და უფრო მეტად. შემავალი ტრანსფორმატორის მეორეული გრაგნილი მიერთებულია ლ1 მილაკის მარცხენა ტრიოდის ბაზესთან. ამ კასკადის დატვირთვაა Π-სებრი კონტური, შედგენილი Dp-1 დროსელის ინდუქტივობით, მიღავის მარცხენა ტრიოდის გამომავალი ტევადობითა და მარჯვენა ტრიოდის შემავალი ტევადობით. მაღალსიხშირული ბლოკის მარჯვენა ტრიო-

დის დატვირთვაა ზოლური ფილტრი. შედგენილი დოლური გადამრთველის K-1-A-K-12-A საინდუქციო კოჭებით, სქემის პარაზიტული ტევადობითა და შესაზუსტებელი C6, C10 კონდენსატორებით, რომელთა დანიშნულებაა ზოლური ფილტრის ტევადობის სიდიდის გაბნევის კომპენსირება მიღავის შეცვლისას.

ზოლური ფილტრის მეორეული გრაგნილი ნაწილობრივ მიერთებულია შემრევის მიღავის მმართველ ბადესთან. მიერთების ხარისხი განისაზღვრება C9 კონდენსატორის ტევადობის ფარდობით შემრევის მიღავის (L2 მიღავის პენტოდური ნაწილი) შემავალ ტევადობასთან.

მაღალი სიხშირის მაძლიერებლის მდგრადი მუშაობა უზრუნველყოფილია პირველი კასკადის მიღავის ანოდისა და ბადის გამავალი ტევადობის ნეიტრალიზაციით. C1 და C4 კონდენსატორები L1 მიღავის პარაზიტულ C<sub>a,j</sub>, C<sub>a,a</sub> ტევადობებთან ერთად წარმოქმნის ნეიტრალიზაციის ბოგურ სქემას.

L1 მიღავის მარცხენა ტრიოდის მმართველი ბადის წრედში ავტომატური გადაწევის ძაბვა წარმოქმნება ძაბვის ვარდნით R13 რეზისტორზე, რომელიც ჩართულია კათოდის წრედში და დაიშუნტება C3 კონდენსატორით. ვარდა ამისა, ბადეზე R1C2 ფილტრის გავლით მიწოდებულია გადაწევის უარყოფითი მმართველი ძაბვა გაძლიერების ავტომატური ჩარგულირების (გარ) სქემიდან.

R4 რეზისტორი და C8 კონდენსატორი წარმოქმნის განმრთველ ფილტრს A1 მიღავის ანოდური წრედის მკებავ სქემაში. ამ მიღავის მარცხენა ტრიოდის მუშაობის რეჟიმი განისაზღვრება მის მმართველ ბადეზე, R2R3 ძაბვის გამყოფიდან მიწოდებული ძაბვის სიღილით. მუშაობის რეჟიმი დამოკიდებულია აგრეთვე გადაწევისა და გარ-ის ძაბვებზე, რომლებიც მიწოდებულია მარცხენა ტრიოდის მმართველ ბადეზე.

მაღალი სიხშირის მაძლიერებლის ზოლური ფილტრის მეორე კონტურიდან გაძლიერებული მაღალსიხშირული სიგნალები მიეწოდება შემრევის მიღავის მმართველ ბადეს. შემრევი აკრეფილია L2—6Φ1Π მიღავის პენტოდურ ნაწილზე. ამ მიღავის მმართველ ბადეზე მიწოდებულია აგრეთვე ჰეტეროდინის ძაბვა. შემრევში გამოსახულებისა და ბევრის სიგნალებს მზიდა სიხშირეები ურთიერთქმედებს ჰეტეროდინის ჩემევებთან და წარმოქმნის ამ სიგნალების შუალედურ სიხშირეებს, რომლებიც L61, L63 ინდუქციურობებითა და სქემის პარაზიტული ტევადობებით შედგენილი ზოლური ფილტრით გამოიყოფა მიღავის ანოდურ დატვირთვაზე. შემრევის ზოლური ფილტ-

რის დატვრთვაა გამოსახულების შუალედური სიხშირის მაძლიერებლის (გშმ) პირველი კასკადის შემავალი ტევადობა და მასთან პარალელურად ჩართული R1 რეზისტორი (მოთავსებულია შ. ს. მ-ში). ლ2 მილაკის ანოდურ და მაკრანებელ წრედებში ჩართულია განმრთველი ფილტრები R12, C16 და C12R7.

ჰეტეროდინი აწყობილია ლ2 მილაკის ტრიოდულ ნაწილზე ტევადური უკუკავშირის სქემით, რომელიც უზრუნველყოფს გენერირებული სხევების სიხშირის სტაბილურობას. ჰეტეროდინის სიხშირე შეზუსტდება საუკეთესო ხარისხის გამოსახულების მიღებამდე C25 კონდენსატორით.

### ა. 2. მაღალსიხშირული პტკ-11Д ბლოკის სერვ

მაღალსიხშირული პტკ-11Д ბლოკი (ნახ. 5. 3) შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: მაღალი სიხშირის მაძლიერებელი, შემრევი და ჰეტეროდინი. მისი პრინციპული სქემა თითქმის ემთხვევა პტკ-10-ის სქემას. განსხვავებაა ის, რომ პტკ-11Д-ს შეიძლება მიუერთდეს დეცავტრული ტალღების არხების სელექტორი CK-Д-1. ეს ბლოკი პტკ-11-ს უკავშირდება C30 კონდენსატორით დრ4 დროსელის შუა გამოყვანის საშუალებით. დრ4 დროსელი პარალელურადაა მიერთებული მსმ-ს ზოლური ფილტრის ბაზურ კოჭასთან, სპეციალური მათანხმებელი მოწყობილობით. მათანხმებელი მოწყობილობა L66, R16 და C30 დამონტაჟებულია პტკ-11Д-ს კორპუსში.


### ა. 3. ტალღების მეტრული დიაგაზონის არხების სელექტორის CK-M-15-ის სერვ


არხების სელექტორი CK-M-15 შედგება შემავალი წრედის, მაღალი სიხშირის მაძლიერებლის, ჰეტეროდინისა და შემრევისაგან (ნახ. 5. 4).

სელექტორის შემავალი წრედი შეიცავს ზედა სიხშირების ფილტრს. სიგნალი მოხსნილი ანტენიდან გაივლის C1 C2 C3L2 L3 L4 ზედა სიხშირეების ფილტრს და C4C5 ტევადობითი გამყოფით მიეწოდება შემავალ კონტურს.

მაღალი სიხშირის მაძლიერებელი შესრულებულია ГТ328A ტრანზისტორის ტრანზისტორზე. შემავალი კონტურიდან სიგნალი C6 კონდენსატორის გავლით მიეწოდება T1 ტრანზისტორის ემიტერს, ბაზის წრედზე კი მოდებულია გაძლიერების ავტომატური რეგულირების ძაბვა. ტრანზისტორის კოლექტორულ წრედში ჩართულია რჩევითი კონტური ან ზოლური ფილტრი.

ජ්‍යෙෂ්ඨ ප්‍රාග්ධන සංඛ්‍යාව  
6300 ප්‍රාග්ධන සංඛ්‍යාව





56. 5. 4.

შემრევი აწყობილია ГТ328А ტიპის T2 ტრანზისტორზე საერთო ემიტერის სქემით. ჰეტეროდინი კი აწყობილია ГТ313Б ტიპის T3 ტრანზისტორზე საერთო ბაზის სქემით. ჰეტეროდინის სიხშირის შესაცვლელად გამოყენებულია D902 ტიპის D2 ვარიკი. ხოლო ქოლექტორული წრედის მკვებავი ძავის სტაბილიზებისათვის იხმარება D809 ტიპის D1 სტაბილიტორი.

შემრევის დატვირთვაა ერთკონტურიანი ფილტრი, აწყობილი შუალედური სიხშირეზე. კონტურის გამოსავალი წინალბა გათვალისწინებულია გამოსახულების შუალედური სიხშირის მაღლიერებლის მისაერთებლად. შემრევის ბაზის წრედთან მიერთებულია L5 C26 R17 C27 კონტური, რომელიც გათვალისწინებულია დეციმეტრული ტალღების არხების სელექტორის СК-Д1 ბლოკის

СК-М-15-თან შესაერთებლად. აღნიშნული კონტური საშუალებას იძლევა კორექტირება გაუკეთდეს СК-Д-1 ბლოკის სიხშირულ მახასიათებელს და გამორიცხავს სელექტორების ერთმანეთზე ზემოქმედებას.


#### ჩ. 4. უიზოდილებული გილაკებიანი ტალავიზორების გამოსახულების არხი

გამოსახულების არხში გაერთიანებულია გამოსახულების შუალედური სიხშირის მაძლიერებელი (გშსმ). ვიდეოჟეტექტორი და ვადეომაძლიერებელი.

გშსმ-ის დანიშნულებაა გააძლიეროს გამოსახულებისა და ხმის შუალედური სიხშირეები. იგი შეიცავს სამ კასკადს (ნახ. 5.5). პირველი კასკადი შესრულებული 6 K 13 П ტიპის 3Л1 მილაკზე. მისი დატვირთვაა დიფერენციალურ-ბოგური ფილტრი, რომელსაც გააჩნია ანოდური და ბადური კონტურები, რომელებიც ერთმანეთთან დაკავშირდებულია ზო ჯური სქემით შესრულებული წრედებათ. ანოდური (3L1, 3L1a და 3C8) და ბადური (3L4, C<sub>49</sub>) კონტურები აწყობილია გშსმ-ის გატარების ზოლის საშუალო (35,5 მგპ) სიხშირეზე.

ბოგირის ორ მხარში ჩართულია კავშირის ერთნაირი გრავნილები: 3L2 კოჭას ორი ნახევარი, ინდუქციურად დაკავშირებული ფილტრის 3L1a კონტურთან. მეორე ორ მხარში ჩართულია მეზობელი არხის (39,5 მგპ) ბგერის გადამტან სიხშირეზე აწყობილი 3L3 3C11 რეჟექტორული კონტური და 3R8 (ცვლადი), 3R9 რეზისტორები. 3R8 რეზისტორის წინალობა ისეა შერჩეული, რომ 39,5 მგპ-ის დროს ის ტოლია 3L3 3C11 კონტურის ექვივალენტური წინალობისა. ამიტომ ამ სიხშირის ძაბვები, რომელიც მოხსნილია 3L2 კოჭას ზედა და ქვედა ბოლოებიდან, 3R9, ERIIC რეზისტორებისა და 3C11, 3C12 კონდენსატორების შეერთების წერტილში იქნება ტოლი და საწინააღმდეგო ფაზით, რის შედეგადაც 39,5 სიხშირის ძაბვა აღნიშნულ წერტილში იქნება ჩიხ-შობილი. გშსმ-ის გატარების ზოლში მყოფი სიხშირეებისათვის 3L3 3C11 კონტურის წინალობა ძალიან დიდია და კავშირი ანოდურ და ბადურ კონტურებს შორის ხორციელდება მხოლოდ 3R8, 3R9 რეზისტორებითა და 3L2 კოჭას ზედა ნახევრით. კავშირის წრედის პარალელურად ჩართულია მეორე რეჟექტორული კონტური 3L5 3C12 3C13, რომელიც უზრუნველყოფს ხმის შუალედური სიხშირის სიგნალის საჭირო შესუსტებას.

მეორე კასკადი შესრულებულია 6Ж 38П ტიპის 3Л2 მილაკზე. მილაკი დატვირთულია კონტურებს შორის ინდუქტიური კავშირის მქონე ზოლური ფილტრით. ანოდური 3L7 3L6 3C18 და ბადური



6.6. 5. 5.

3L9 3L8 C<sub>19</sub> კონტრულები აუყობილია გშსმ-ის გატარების ზოლის საშუალო სიხშირეზე (35,5 მგვ). კონტრულებს შორის კავშირი ხორციელდება 3L6. 3L8 საინდუქციო კოჭებით და რეგულირდება გულარით. 3L3 მიღავის ბაზის შრედში ჩართულია მიმღევრობითი რეზექტორული კონტრული 3L10 3C19. ეს კონტრულ საშუალებას იძ-


ლევა მიეროთ სიგნალის მნიშვნელოვანი შესუსტება 30 მგჰ სიხშირეზე.

მესამე კასკადი, აწყობილი 6Ж5П ტიპის 3Л3 მილაკზე, დატვირთულია ინდუქტიური კავშირის მქონე ზოლური ფილტრით. ანოდური 3Л12 3Л14 3С23 და ვიდეოდეტექტორის 3Л13 3Л15 3С31 კონტურები აწყობილია გშსმ გატარების ზოლის საშუალო სიხშირეზე. ანოდური კონტური აფორმირებს სიხშირულ მახასიათებელს 38 მგჰ ზონაში, ხოლო ვიდეოდეტექტორის კონტური — 32 მგჰ ზონაში. კონტურებს შორის კავშირი მუდმივია და ხორციელდება 3Л14, 3Л15 საინდუქციო კოჭებით.

მესამე კასკადის (მილაკი 3Л3) ანოდური კონტურიდან შუალედური სიხშირის ძაბვა 3С28 გამყოფი კონდენსატორის გავლით მიეწოდება გაძლიერების ავტომატური რეგულირების სქემას.

გშსმ-ს მესამე კასკადიდან 3Л13 3Л15 3С31 კონტურის გავლით შუალედური სიხშირის სიგნალი მიეწოდება ვიდეოდეტექტორს.


ვიდეოდეტექტორი შესრულებულია Д20 ტიპის 3Д1 ნახევარგამტარიან ღიოდზე (ნახ. 5, 6). ღიოდის დატვირთვაა 3R23 რეზისტო-



ნახ. 5, 6.

რა, 3С32 კონდენსატორი, სქემის პარაზიტული ტევადობები და 3Др1, 3Др2 ღროსელები, რომლებიც წარმოქმნის ორწრედიან ფილტრს. ფილტრი შესდგება П-სებრი (3С32, 3Др1, С<sub>38</sub> + С<sub>8</sub>) და Г-სებრი (3Др2, С<sub>8</sub>) წრედებისაგან. ვიდეოდეტექტორის დატვირთვის წრედში ჩართული 3Л18 3С35 კონტურიდან ბერის შუალედური სიხშირის სიგნალი 3С29 კონდენსატორის გავლით მიეწოდება ბერის შუალედური სიხშირის მაძლიერებელზე, ხოლო გამოსახულების სიგნალი მიეწოდება ვიდეომაძლიერებლის 3Л4 მილაკის მმართველ ბადეზე.

ვიდეომაძლიერებელი (ნახ. 5. 7) აწყობილია ერთკასკადიანი სქემით 6Φ4Π ტიპის 3Л4 მილაკის პენტოდურ ნაწილზე დაბალი და მაღალი სიხშირების კორექციით. მილაკის ანოდურ წრედში ჩართულია 3Др4 დროსელი, რომელიც აფორმირებს სიხშირულ მახასიათებელს გატარების ზოლის საშუალო სიხშირების ზონაში. 3Др3, 3Др5, 3Др4, 5Др2 დროსელები განსაზღვრავს გატარების ზოლის სიგანეს და აფორმირებს ვიდეომაძლიერებლის მახასიათებელს მაღალი სიხშირების უბანზე. ვიდეომაძლიერებლის მილაკის კათოდის წრედში ჩართული 3R20 ორზისტორის მეშვეობით წარმოიშობა ძაბვა, რომელიც აკორექტირებს სიხშირულ მახასიათებელს დაბალი სიხშირების ზონაში. მაღალი სიხშირების მიმართ 3R20 დაშუნტულია 3C27 კონდენსატორით.




ნახ. 5. 7.

გამოსახულების კონტრაბრულობა რეგულირდება 5R29 პოტენციომეტრით. იმისათვის, რომ კონტრაბრულობის რეგულირებამ არ შეცვალოს ვიდეომაძლიერებლის სიხშირული მახასიათებლის ფორმა, სქემაში ჩართულია დამატებითი კორექციის ელემენტები 3C16, 3R41, 3C51, 3R50, 3R32. მილაკის დატვირთვიდან ვიდეოსიგნალი 3R33 რეზისტორის გავლით მიეწოდება ამპლიტუდური სელექტორის შესავალზე, ხოლო 3R29 რეზისტორის გავლით — გაძლიერების ავტომატური რეგულირების სქემაში.

#### 5. 5. ჰეტეროდინის სისტემის ავთომატური უზრუნველყოფა

ჰეტეროდინის სიხშირის ავტომატური შეზუსტების სქემა აწყობილია 6Ж5П ტიპის 3Л5 მილაკზე (ნახ. 5. 8). მილაკის მმართველ



ნახ. 5. 8.-

ბადეზე გშსმ-დან 3C28 კონდენსატორისა და 3R40 რეზისტორის გავ-  
ლით მიწოდებულია გამოსახულების სიგნალების შუალედური სიხ-  
შირის ძაბვა.

ანოდურ წრედში ჩართულია დისკრიმინატორის ფაზის გადამწევი  
ტრანსფორმატორი, რომელიც წარმოქმნილია ორი დაკავშირე-  
ბული კონტურით. პირველი კონტური წარმოქმნილია 3L16 ინდუქ-  
ციურობით, ხვიათაშორისი ტევადობითა და მონტაჟის ტევადობით,  
მეორე კი 3L17 ინდუქციურობითა და 3C45 კონდენსატორით. ორი-  
ვე კონტური აწყობილია გამოსახულების შუალედურ სიხშირეზე და  
ერთმანეთთან დაკავშირებულია 3C47 ტევადობით.

3R48 და 3R49 რეზისტორები წარმოადგენს დისკრიმინატორის  
დიოდების დატვირთვას.

ჰეტეროდინის სიხშირის ხელით აწყობა ხდება სქემის იმავე ელე-  
მენტებით, როთაც ხორციელდება ავტომატური აწყობა. ხელით აწ-  
ყობის დროს გამოიყენება 5R23, 3R52, 3R54, 3R53 გამყოფი, რო-  
მელზედაც მიწოდებულია +150 ვ ძაბვა, ხელით აწყობის რეგისტი  
3Л15 მიღავის ანოდი გამოირთვება და არხების სელექტორის მმართ-  
ველ დიოდს ძაბვა მიეწოდება 5R23 პოტენციომეტრიდან.


### 5. 6. გაძლიერების აპთომატური რეგულირება (გარ)

გარ-ის სქემა აწყობილია 6Φ 4Π ტიპის 3Л14 მიღავის ტრიოდულ  
ნაწილზე (ნახ. 5. 9). მიღავის ანოდზე 3C41 კონდენსატორის გავლით  
მიწოდებულია დადებითი იმპულსები, რომლებიც წარმოქმნება  
განშლის უკუსვლის დროს, მოხსნილი 5Tр1 სტრიქონების გამომავა-

ლი ტრანსფორმატორის დამატებითი გრავნილიდან. კათოდზე კი და-  
დებითი ძაბვა მოხსნილია 3R38 3R36 ძაბვის გამყოფიდან.

მიღუავი იღება იმ მომენტში, როდესაც ერთოროულად მოდის  
უკუსვლის იმპულსები 5Tp1 ტრანსფორმატორიდან ანოდზე და სინ-  
ქრომიმპულსები — ვიღეომაძლიერებლის დატვირთვიდან მმართველ ბა-  
დეზე. სინქრომიმპულსებს შორის შუალედში მიღავი დაკეტილია.

გარ-ის ძაბვა მიეწოდება მაღალი სიხშირის მაძლიერებელს არხების  
გადამრთველში და გშსმ-ის პირველ კასკადს.



ჩახ. 5. 9.

გშსმ-ს პირველი კასკადის მრავალი მმართველ ბადეს გარ-ის ძაბ-  
ვა მიეწოდება 3R42 3R39 ძაბვის გამყოფიდან. 3R31 პოტენციო-  
მეტრი გამოყენებულია გარ-ის მიღავის მახსარათებელზე მუშა წერ-  
ტილის ასარჩევად, ხოლო დაბრკოლებებისადმი მდგრადობის ასამაღ-  
ლებლად კი — 3C37 და 3C38 კონდენსატორები.

არხების გადამრთველისათვის გარ-ის ძაბვა მოხსნილია D226Г ტი-  
პის 3Д5 ლიოდიდან, გამომავალი სიგნალის გარკვეულ მნიშვნელობამდე  
შეკავებით. შეკავების სიდიდე განისაზღვრება +850 ვ ძაბვის წრედ-  
ში ჩართული 3R27 პოტენციომეტრით. 3Д5 ლიოდის ანოდზე მო-  
დებულია დადებითი ძაბვა, რომელიც მოხსნილია 3R27 პოტენციი-  
ომეტრიდან, და გარ-ის უარყოფითი ძაბვა მიწოდებული 3C41 კონ-  
დენსატორიდან 3R25 რეზისტორის გავლით.

## 6. 7. ბევრითი არხი

ბევრითი არხი შედგება ბევრის შუალედური სიხშირის მაძლიერებლისაგან (ბშსმ), სიხშირული დეტექტორისა და დაბალი სიხშირის მაძლიერებლისაგან (ლსმ).


ბშსმ ორყასუადიანია, კასკადები აწყობილია 6Ж 1П ტიპის 2Л1 და 2Л2 მილაკებზე (ნახ. 5. 10).

6,5 მგჰც შუალედური სიხშირე გამოიყოფა ვიდეოდეტექტორის წრედში ჩართული 3Л18 3С35 რეჟიმურობული კონტურით და 3С29 კავშირის ტევადობით მიეწოდება ბშსმ-ის პირველ კასკადს, რომლის შესასვლელზე მიერთებულია 2Л2 2С1 კონტური. პირველი კასკადის მილაკის ანოდურ წრედში ჩართულია 2Л3 2С6 და 2Л4 2С7 ზოლური ფილტრი. კასკადის გაძლიერება რეგულირდება ავტომატურად. 2R5 რეზისტორში 2Л2 მილაკის ბაზური დენის გავლით წარმოქმნილი ძაბვის საშუალებით. ეს ძაბვა 2Л-1 მილაკის ბაზეს მიეწოდება 2Л2 კოჭასა და 2R11 რეზისტორით.

დიდი გაძლიერების რეჟიმში კასკადის მდგრადი მუშაობისათვის გამოყენებულია 2Л1 მილაკის გამავალი ტევადობის ნეიტრალიზაციის ბოგური სქემა. წარმოქმნილი მილაკის C<sub>ა1</sub>, C<sub>ა2</sub>, C<sub>ა</sub> ტევადობებით და 2С2 კონდენსატორით, რომლის ტევადობა შეირჩევა ბოგირის ბალანსირების პირობით.

ბშსმ-ის მეორე კასკადის დატვირთვაა წილადური დეტექტორის ფაზაგადასაწევი კონტური. მეორე კასკადი მუშაობს შემზღვდველის რეჟიმში, რისთვისაც მილაკის მაკრანებელი ბაზის წრედში ჩართულია ძაბვის გამყოფი 2R3 2R7. ეს წინალბები უზრუნველყოფს მილაკის მაკრანებელ ბაზეზე +50 ვ ძაბვას მაშინ, როცა ანოდზე მოდებულია +150 ვ (სიგნალის გარეშე).

სიხშირული დეტექტორი აწყობილია წილადური დეტექტორის სქემით და 2Д1 და 2Д2 დიოდების მიმართ აქვს სიმეტრიული ჩამოწებული დატვირთვა 2R17 და 2R18. ამ პლიტუდური მოდულაციის ჩასახშობად დეტექტორის დატვირთვის პარალელურად ჩართულია ელექტროლიტური კონდენსატორი 2C19. 2Д1 და 2Д2 დიოდებზე მისული ძაბვა იცვლება მოდელირებული სიგნალის სიხშირით, რაც იწვევს ძაბვის ცვლილებას 2C17, 2C18 კონდენსატორებზე. მაგ კონდენსატორების შემაერთებელი წერტილიდან იხსნება დაბალი სიხშირის ძაბვა. ჯამური მუდმივი სიდიდე შენარჩუნებულია 2C19 კონდენსატორით. 2C14 კონდენსატორი აბლოკირებს 6,5 მგჰ შუალედური სიხშირის ძაბვას. 2L7 საინდუქციო კოჭათი, 2L6 საინდუქციო კოჭას ნახევრებითა და 2C14, 2C17, 2C18 კონდენსატორებით შედგენილი კონტურის მილევადობის მოსამატებლად გამოყენებულია რეზისტორი 2R8. ეს საშუალებას იძლევა გავაფართოოთ დეტექტორის




5. 10.

Бюл. № 307-308-309-310-311-312

Бюл. № 307-308-309-310-311-312

გატარების ზოლი და გავუმჯობესოთ ამპლიტუდური მოდელაციის ჩახშობა.

დაბალი სიხშირის მაძლიერებელი (ნახ. 5. 11) შედგება 6Φ 5Π ტიპის 2Л3 მილაკის ტრიოდულ ნაწილზე აწყობილი წინასწარი კასკადისაგან და ამავე მილაკის ტეტროდულ ნაწილზე აკრეფილი ბოლო სიმძლავრის მაძლიერებელი კასკადისაგან.




ნახ. 5. 11.

სიხშირული დეტაქტორიდან 2C21 კონდენსატორის გავლით სიგნალი მიეწოდება ტრიოდის მმარტველ ბადეზე. კავშირი პირველ და მეორე კასკადებს შორის ტევადობითია და შესრულებულია 2C22 კონდენსატორით. დასმული გამოყენებულია უარყოფითი უკუკავშირი ტემბრის ქვედა და ზედა სიხშირეების განცალკევებული რეგულირებით. ზედა სიხშირეების რეგულირებისათვის გამოყენება 5R37 პოტენციომეტრი, ქვედა სიხშირეებისათვის კი 5R38 რეზისტორი. ხმა-მაღლამოლაპარაკება და ბოლო კასკადს შორის შესავალი და გამოსავალი წინააღმდეგობების უკეთ შესათანხმებლად გამოყენებულია 5Tp2 ტრანსფორმატორული კავშირი.

5. 8. სინქრონიზაციის არხი

სინქრონიზაციის არხი შეიცავს 6Φ1Π ტიპის 3Л1 მილაკის პენტოდურ ნაწილზე აწყობილ ამპლიტუდურ სელექტორს და ამავე მილაკის ტრიოდულ ნაწილზე აწყობილ სინქრონიმპულსების მაძლიერებელს (ნახ. 5. 12).



ნახ. 5. 12.

ამპლიტუდური სელექტორის მმართველ ბაზეზე 3C1 კონდენსატორისა და პარალელური 3R2, 3C2 წრედის გავლით ვიდეომაძლიერებლიდან მიწოდებულია სრული ვიდეოსივნალი. სინქრონიმპულსების ამპლიტუდის შესაზღუდვად და საჭირო წამკვეთი ძაბვის მისაღებად. ანოდისა და მაკერანგებელი ბაზის წრედებში ჩართულია შესაბამისი ძაბვის გაყიფვები 3R5 3R4 და 3R8 3R25.

3Л1 მილაკის ანოდური დატვირთვიდან სინქრონიმპულსები მიეწოდება მაძლიერებელს. ომელიც აწყობილია 3Л1 მილაკის ტრიოდულ ნაწილზე. სინქრონიმპულსების მაძლიერებლის ანოდური დატვირთვა შედგება ორი ნაწილისაგან. დატვირთვის ერთი ნაწილიდან (3R24) იხსნება სტრიქონული სინქრონიმპულსი. ომელიც ამპლიტუდით ტოლია კათოდური დატვირთვიდან (3R26) მოხსნილი სინქრონიმპულსისა. მთლიანი ანოდური დატვირთვიდან (3R23, 3R24) იხსნება კადრული სინქრონიმპულსი. ომელიც 3R22 რეზისტორის გავლით მიეწოდება კადრული განშლის ამგზნებ გენერატორს.

სტრიქონული სინქრონიმპულსები სინქრონიმპულსების მაძლიერებლიდან 3C16, 3C17 კონდენსატორებით მიეწოდება სიხშირისა და

ფაზის ავტომატური შეზუსტების სქემის ფაზურ დისკრიმინატორს, რომელიც აქტუალია 3Д1, 3Д2 დიოდებსა და 3R28, 3R29 ჩეზისტორებზე. სინქრონიმპულსებთან ერთად დისკრიმინატორს მიეწოდება აგრეთვე სტრიქონული გაშლის გამომავალი ტრანსფორმატორის დამატებითი გრაგნილიდან მოხსნილი დადებითი პოლარობის, სტრიქონული განშლის უკუსვლის იმპულსები, რომლებიც 3R30, 3C18 მაინტეგრირებული წრედით გარღაიგმნება შედარების ხერხისებურ ძაბვად. სიხშირისა და ფაზის ავტომატური შეზუსტების სქემიდან მმართველი ძაბვა 3R32 3C18 3R30 3C19 ფილტრის გავლით მიეწოდება სტრიქონული გაშლის ამგზნები გენერატორის ვილაკის მმართველ ბაზეს.


### ა. 9. სტრიქონული გაშლის გლობი

სტრიქონული გაშლის ბლოკი ორკასკადიანი (ნახ. 5. 13). ამგზნები გენერატორი არასიმეტრიული მულტივიბრატორის სქემით შესრულებულა 6Н1П ტიპის 3Л4 მილაკზე. მილაკი ირმანდია, რომლის ტრიოდებს შორის კავშირი კათოდურია და ხორციელდება 3R36, 3C36 კავშირის ელემენტებით. მილაკის მარცხენა ტრიოდის მმართველ ბაზეზე მიწოდებულია მმართველი ძაბვა სიხშირისა და ფაზის ავტომატური შეზუსტების სქემიდან. მარჯვენა ტრიოდის ანოდურ წრედში ჩართულია მაფორმირებელი 3R25, 3C23 წრედი. სტრიქონული გაშლის ხერხისებური ფორმის ძაბვა, მოხსნილი 3C23 კონდენსატორიდან, 3C24 გამყოფი კონდენსატორით მიეწოდება სტრიქონული გაშლის გამომავალი კასკადის მილაკის მმართველ ბაზეს. 3Л4 მილაკის მარჯვენა ნახევრის ბაზური წრედის 3R34, 3C21, 3R37, 3R38. 6R8 ელემენტები განსაზღვრავს სტრიქონული გაშლის ამგზნები გენერატორის რხევების საკუთარ სიხშირეს. ამავე ბაზეზე 3C22 კონდენსატორიდან მიწოდებულია სტრიქონული გაშლის დადებითი უკუსმპულსები. მოხსნილი სტრიქონული გაშლის გამომავალი ტრანსფორმატორის დამატებითი გრაგნილიდან.

სტრიქონული გაშლის ამგზნები გენერატორის დაბრკოლებამდგრადობა გაზრდილია მილაკის მარცხენა ნაწილის ანოდურ წრედში ჩართული 3L1 3C13 3R33 რეზონანსული კონტურით, რომელიც აწყობილია სტრიქონული გაშლის სიხშირეზე.

სტრიქონული გაშლის გამომავალი კასკადი შესრულებულია 6П36С ტიპის 6Л1 მილაკზე, მაღამპჭირებელი 6Д20П ტიპის 6Л2 მილაკსა და მაღალგვოლტიან კენოტრონის 1Ц21П ტიპის 6Л3 მილაკზე.

ხერხისებური ძაბვა ამგზნები გენერატორის მაფორმირებელი წრედის 3C23 კონდენსატორიდან 6R13 ჩეზისტორის გავლით გადაეცემა



ବାବ. 5. 13.

გამომავალი მიღავის ბადეს. გამომავალი კასკადის დატვირთვაა გადამხმარელი სისტემის სტრიქონული კოჭები. გამომავალი მიღავის წინალობის ჟესათანხმებლად გადამხმარელი სისტემის წინალობასთან გამოყენებულია გამომავალი სტრიქონული ავტოტრანსფორმატორი. +600 ვ ძაბვა, რომელიც მიღებულია ვოლტოდამატების კონდენსატორიდან, სტაბილიზდება СГ206А ტიპის SL5, SL6 მიღავებით.

### პ. 10. კადრის გაშლის გლობი


კადრების გაშლა შესრულებულია ორკასკადიანი სქემით (ნახ. 5. 14). სინქრონიზულების მაძლიერებლიდან გამოყოფილი სიგნალები ვადაეცემა კადრების გაშლის ამგზნებ გენერატორს, რომელიც შესრულებულია ბლოკინგენერატორის სქემით 6Ф5П ტიპის 4Л1 მიღავის ტრიოდულ ნაწილზე. მიღავის ანოდურ წრედში ჩართულია სამუხტავი 4R2, 4C11 წრედი. გაშლის პირდაპირი სვლისას 4Л1 მიღავის ტრიოდული ნაწილი დაკეტილდა და 4C11 კონდენსატორი იმუნტება +400 ვ ძაბვით. რომელიც მას მიეწოდება 4R2 რეზისტორის გავლით. უკვესვლის დროს კი მიღავი ღიაა და კონდენსატორი 4C11 განიმუხტება მიღავის შიგა წინალობაზე. რეზისტორი 4R35 ჰლუდას ბლოკინგ-გენერატორის გამმუხტავი დენის იმპულსების ამპლიტუდას.

კადრების სიხშირის რეგულირებისათვის გამოიყენება 5R43 ცვლადი რეზისტორი. რომლის საშუალებითაც ხდება ამგზნები გენერატორის მიღავის ბადური წრედის დროის მუდმივას ცვლილება.

კადრების გაშლის გამომავალი კასკადი შესრულებულია 4Л1 მიღავის პენტოდურ ნაწილზე, უნიფიცირებული კადრების გაშლის ტრანსფორმატორს 5Тр3 გამოყენებით, რომლის პირველადი გრანილის პარალელურად ჩართულია 4R16 გარისტორი, ხოლო მეორადი გრანილის დატვირთვაა კადრის გადამხრელი კოჭები.

კადრების გაშლის გამომავალი კასკადის მიღავის ანოდზე კვების ბლოკიდან მიწოდებულია +265 ვ მკვებავი ძაბვა, ხოლო მაეკრანებელ ბადეზე 4R18, 5C386 განმრთველი ფილტრის გავლით +175 ვ ძაბვა. ხერხისებური ძაბვა მაფორმირებელი 4R2, 4C11 წრედიდან გამყოფი 4C6 კონდენსატორისა და მაკორექტირებელი 4C7, 4R3, 4R4 წრედით მიეწოდება გამომავალი კასკადის მიღავის მმართველ ბადეს.

4C7, 4R4, 4R12, 4R11, 4R13, 4R14 ელემენტები წარმოქმნის პირველ მადეფერენცირებელ წრედს, რომლის გამოსასვლელზე ხერხისებური ძაბვა გარდაიქმნება ხერხისებურ იმპულსურად და 4R17 რეზისტორის გავლით მიეწოდება გამომავალი კასკადის მიღავის მიღავის მმართველ ბადეს. 4R12, 4R11, 4R17 რეზისტორებით უარყოფითი უკუკავშირის პარაბოლური ფორმის ძაბვა, მოხსნილი მეორე დიფერენ-



6.6. 5. 14.

ნციალური 4C12, 4R13, 4R14 წრედიდან, მიეწოდება ასევე გამომავალი მილაკის მმართველ ბადეს.

პოტენციომეტრი 4R4 ცვლის ხერხისებრი ძაბვის ფორმას და ამის საშუალებით არეგულირებს გამოსახულების ზედა ნაწილის წრფივობას. 4R14 პოტენციომეტრით რეგულირდება გამოსახულების წრფივობა ვერტიკალური მიმართულებით, ხოლო 4R12 რეზისტორით იცულება გამოსახულების ზომები.


### 5. 11. პინესკოპი და მისი წრედები

სრული ვიდეოსიგნალი ვიდეომაძლიერებლის ანოდიდან კინესკოპის კათოდს მიეწოდება 3D6, 3C53, 3R45 ცლემენტებზე აწყობილი კინესკოპის სხივის დენის შემზღვეველი წრედის გავლით (ნახ. 5. 15). კინესკოპის დასაცავად ამოწვისაგან კაშაშა ლაქით, რომელიც წარმოიშობა კინესკოპის ცენტრში ტელევიზორის ქსელიდან გამორთვისას, შის კათოდის წრედში ჩართულია 3R51 რეზისტორი და 5C11 კონჟენტატირი.

კინესკოპის კათოდსა და ვარ्षების ძაფს შორის გარღვევის თავადან ასაცილებლად ძაბვა ელემენტებზე გათანაბრებულია 5R19 რეზისტორით.

კინესკოპის ეკრანის ნათება რეგულირდება ძაბვის ცვლილებით მმართველ ელექტროლზე, რისთვისაც გამოიყენება 5R22 პოტენციომეტრი (სიკაშვაშე) და დამატებითი ცვლილი რეზისტორი 5R33.

ეკრანის ამოწვისაგან დასაცავად, კადრებს გაშლის დაზიანების შემთხვევაში, გამოიყენება 4Д1 ღიოდი, ღაყენებული კადრების გაშლის უკუსელის იმპულსური ძაბვის გამართვის სქემაში. გამართული +500 ვ. ძაბვა გამართველის 5Д20 და 5C14 დატვირთვიდან მიეწოდება კინესკოპის მმართველ ელექტროდს. კადრების გაშლის დაზიანების შემთხვევაში კინეს-



ნახ. 5. 15.

კოპის მმართველ ელექტროდზე ძაბვა მკვეთრად ეცემა და კინეს-კოპის სხივი ქრება.

ეკრანის ამოწვისაგან დაცვა სტრიქონული გაშლის დაზიანების შემთხვევაში ემყარება კინესკოპის მმართველი ელექტროდის კვებას ვოლტოდამატებითი ძაბვით. ამისათვის ძაბვის გამყოფი 5R4, 5R22, 5R22, რომლის წრედში ჩართულია სიკაშვაშის 5R33 პოტენციომეტრი, მიერთებულია ვოლტოდამატებითი ძაბვის წყაროსთან. სტრიქონული გაშლის დაზიანებისას, ვოლტოდამატებით 5C2 კონდენსატორზე ძაბვა არ წარმოიქმნება და აღნიშნული ძაბვის გამყოფს არ მიეწოდება. 4Д4 დიოდის წინალობა მცირდება, ძაბვა მმართველ ელექტროდზე ეცემა და კეტავს კრებულის სხივის დენს.

კინესკოპის სხივის უკუსკვლის ჩაქრობას უზრუნველყოფს 6Х2П (4Л4) ორმაგ დიოდზე შესრულებული სქემა.

## მ ე-6 თ ა 3 ი. უცილიცირებული გილაკიან-ნახევარგავთარებიანი ჰელევიზორის გლობული


ქვემოთ განხილულია ტელევიზორის მხოლოდ ის ბლოკები, რომელთა სქემა განსხვავდება წინა თავში აღწერილი ბლოკებისაგან.

### 6. 1. გამოსახულების ჟულედური სიზირის გაძლიერება

გშსმ შესრულებულია მილაკსა და ორ ტრანზისტორზე (ნახ. 6. 1). სიგნალები მაღალსიხშირული ПТК-11Д ბლოკიდან მიეწოდება 3L20, 3C5 ელემენტებიდან შედგენილ 3Φ1 კონტურს. რომლიდანაც 3C2 კონდენსატორისა და 3L19 ინდუქციურობის გავლით ისინი გადაეცემა გშსმ-ის პირველ კასკადს, კერძოდ 3L1 მილაკის მმართველ ბადეს.

მეორე კასკადი აწყობილია 3T1 და 3T2 ტრანზისტორებზე კასკოდური სქემით. 3T2 ტრანზისტორის ბაზის წრედში სიგნალი მიეწოდება 3C14, 3C15 ტევადობითი გამყოფიდან, რომელიც უზრუნველყოფს 3Φ1 ფილტრის კონტურების გატარების საჭირო ზოლს.

3R12, 3R13, 3R14, 3R15 რეზისტორები გამოიყენება 3T1, 3T2 ტრანზისტორების მუშა რეზიმის ტემპერატურული სტაბილიზაციისათვის. 3C17, 3C18 კონდენსატორები მაბლოკირებელი ტევადობებია. ძეორე კასკადი იკვებება +150 ვ ძაბვის წყაროდან 3R11, 3C10 ფილტრის გავლით.




ბგერითი არხი შესრულებულია ტრანზისტორებსა და მილაკზე, შედგება ორქასკადიანი ბგერის შუალედური სიხშირის მაძლიერებლისაგან (ბშსმ), სიხშირული დეტექტორისა და ორქასკადიანი დაბალი სიხშირის მაძლიერებლისაგან (ფსმ) (ნახ. 6. 2.).

ბშსმ აწყობილია სამ 2T1, 2T2 და 2T3 ტრანზისტორზე. პირველი კასკადი აწყობილია 2T1, 2T2 ტრანზისტორებზე კასკადური სქემით. ბგერის შუალედური სიხშირის სიგნალი ვიდეოდეტექტორის დატვირთვიდან კავშირის კონდენსატორის გავლით მიეწოდება პირველ კასკადს, რომლის შესასვლელში ჩართულია 2L2, 2C3, 2C4, 2R11 კონტროლი. 2T1 ტრანზისტორის ბაზურ წრედს სიგნალი გადაეცემა 2C3, 2C4 ტევადობითი გამყოფით. 2T2 ტრანზისტორის კოლექტორის წრედში ჩართულია 2L3, 2C5, 2L4, 2C8, 2C9 ზოლური ფილტრი. 2R1, 2R2, 2R3, 2R6 რეზისტორები წარმოადგენს 2T1, 2T2 ტრანზისტორების მუშა რეჟიმების ტემპერატურული სტაბილიზაციის ელემენტებს. 2R4 რეზისტორი და 2C1 კონდენსატორი ქმნიან 2T1, 2T2 ტრანზისტორების კვების წრედის RC ფილტრს, ხოლო 2C2, 2C6 და 2C7 კონდენსატორები მაბლოკირებელი ტევადობებია.

2Д1 დიოდი ზღუდვას სიგნალის ძაბვას 2T3 ტრანზისტორის შესასვლელზე. 2Д1 დიოდის გაღების დონეს განსაზღვრავს 2R7 რეზისტორი.

ბშსმ-ის მეორე კასკადი აწყობილია საერთო ბაზის სქემით ჩართულ 2T3 ტრანზისტორზე. ტრანზისტორის ემიტერულ წრედში ძაბვა მიწოდებულია 2C8, 2C9 გამყოფიდან. კასკადის დატვირთვაა სიხშირული დეტექტორის ფაზის გადამწევი ტრანსფორმატორის პირველადი კონტროლი. ტრანზისტორის კვების წრედში 2R15 რეზისტორი და 2C11 კონდენსატორი წარმოქმნიან RC ფილტრს, 2C13 კონდენსატორი — მაბლოკირებელია. 2R8, 2R9, 2R12, 2R13 რეზისტორები უზრუნველყოფს 2T3 ტრანზისტორის მუშა რეჟიმის ტემპერატურულ სტაბილიზაციას, ხოლო 2R5, 2R10, 2R14 რეზისტორები იცავს კასკადს თვითაგზნებისაგან. ბშსმ იკვებება +150 ვ ძაბვის წყაროდან.


სიხშირული დეტექტორი აწყობილია წილადური დეტექტორის სქემით. დამ ორქასკადიანია: პირველი კასკადი აწყობილია 2T4 ტრანზისტორზე, მეორე კი 2Л1 მილაკზე.



б.б. 6. 2.

#### 6. გიდეონაპლიტიკური

ვიდეომაძლიერებელი აწყობილია 3Л4 მილაკის პენტოდურ ნაწილზე (ნახ. 6. 3). მასში გამოყენებულია სიხშირული მახსინათებლის კორექციის რთული სქემა. კორექცია სრულდება მილაკის კათოდურ და ანოდურ წრედებში მაკორექტირებელი 3Др4, 3Др5, 8Др1, 3С56, 3R49, 3C54, 6R25 ელემენტების ჩართვით.



ნახ. 6. 3.

დაბალი სიხშირეების ზონაში კორექცია ხდება მილაკის კათოდის წრედში ჩართულ 3R49 რეზისტორზე უკუკავშირის წარმოქმნით. მაღალი სიხშირეებისათვის ეს რეზისტორი დაშუნტდება 3C54 კონდენსატორით. 3R49 რეზისტორი ამავე ღროს წარმოადგენს მილაკის მმართველი ბალის წრედისათვის ავტომატური გადაწევის ძაბვის წყაროს.

კონტრასტულობის რეგულირება ხორციელდება მილაკის მმართველ ბაზეზე ძაბვის ცვლილებით. ეს ძაბვა 6,33 ვ სიდიდით მიწოდებულია გამმართველიდან. რომელიც აწყობილია 3Д8 ლიფტა და

(3R41 რეზისტორისა და 3C47, 3C48 კონდენსატორებისაგან შედგენილი) ფილტრზე.

მიღავის მაქრანებელი ბაზის კვებისათვის 3R46, 3R44 გამყოფი მიერთებულია +145 და +230 ვ-იან წყაროსთან.


ვიდეომაძლიერებლის დატვირთვიდან ვიდეოსიგნალი გადაეცემა კონესკოპის კათოდს. 3R43 რეზისტორიდან — ამპლიტუდურ სელექტორს და 3R56 რეზისტორიდან — გარ-ის სქემას.

#### 6. 4. პარავანის გაშლის ამპლიტუდი განვირაცონი

კადრების გაშლის ამგზნები გენერატორი შესრულებულია 4Л2 მიღავზე მულტივიბრატორის სქემით (ნახ. 6. 4.).

მიღავის მმართველ ბაზეზე კადრების სინქრომპულსები მიწოდებულია 4Д2 დიოდის გავლით. მიღავის მარჯვენა ნაწილის ანოდურ წრედში ჩართულია მაფორმირებელი 4R13, 4C7 ჯაჭვი.

მიღავის მარცხენა ნაწილის მმართველი ბაზის წრედის ელემენ-



ნახ. 6. 4.

ტები 4C8, 4R18, 6R30 განსაზღვრავს მულტივიბრატორის რხევების  
საკუთარ სიხშირეს.

მულტივიბრატორის მიღავის მარცხენა ნაწილი იკვებება 4R13 რე-  
ზისტორის გავლით 5C4 კოლტოდამატებითი კონდენსატორიდან მი-  
წოდებული +400 ვ ძაბვით.

## მ-7 თავი. უნიფიცირებული ნახევარგამტარული ტელევიზორების გლობული

უნიფიცირებული ნახევარგამტარული ტელევიზორები თავისი ტექ-  
ნიკური მახასიათებლებით მიეკუთვნება II კლასის ტელევიზორებს  
და მთლიანად შესრულებულია ნახევარგამტარული ელემენტებით. ამ  
ტელევიზორებში გამოყენებულია მაღალსიხშირული ბლოკი CK-M-15,  
რომელიც აღწერილია § 5. 3-ში და ამიტომ მას აქ აღარ შევეხებით.

### 7. 1. გამოსახულების არხი

გამოსახულების არხი შედგება გშსმ-ისა. ვიდეოდეტექტორისა და  
ვიდეომაძლიერებლისაგან.

გშსმ-ს სამსაკიდიანი (ნახ. 7. 1) CK-M-15 არხების სელექტორი-  
დან შუალედური სიხშირის სიგნალები გადაეცემა ჩაწერტებული სე-  
ლექციის ფილტრს, რომელიც ჩართულია გშსმ-ის შესავალში. ჩა-  
წერტებული სელექციის ფილტრი შედგება ცალკეული მფილტრავი  
კონტრაბისაგან, რომლებიც უზრუნველყოფს ტელევიზორის არჩევო-  
თობას შემდეგ სიხშირეებზე: 30 მგპ. — 2C7 2L5; 31,5 მგპ. — 2C1  
2L1; 39,5 მგპ — T-სებრი 2C6 2C5 2L4 2R1 2R2 კონტრა-  
41,5 მგპ — 2C2 2L2.

საჭირო გატარების ზოლი უზრუნველყოფილია 2C3 2C4 2L3 და  
2L6 2C8 კონტრების აწყობით. ჩაწერტებული სელექციის ფილტ-  
რის შემავალი და გამომავალი წინაღობები აღებულია 75 ომი,  
CK-M-15-ისა და გშსმ-ის შესათანხმებლად.


ჩაწერტებული სელექციის ფილტრიდან გამოსახულებისა და ხმის  
შუალედური სიხშირეების სიგნალები, გამყოფი 2C12 კონდენსატო-  
რის გავლით, გადაეცემა 2T1 ტრანზისტორის (გშსმ-ს I კასკადი)  
ბაზის წრედს. პირველი კასკადი შესრულებულია საერთო ემიტერის  
სქემით. 2R4 რეზისტორით ტრანზისტორის ბაზის წრედს მიეწოდე-  
ბა გარ-ის ძაბვა. 2T1 ტრანზისტორის ემიტერის წრედში ჩართულია  
2R5 2R6 2R7 გამყოფი, რომელიც უზრუნველყოფს დენისა და ძაბ-  
ვის ცვლილების საჭირო რეჟიმს ტრანზისტორის კოლექტორულ წრედ-  
ში. ემიტერის წრედში აგრეთვე ჩართულია მაბლოკირებელი 2C14  
და განმრთავი 2C15 კონდენსატორები.

გშსმ-ის პირველი კასკადის ღარენტრიორთვაა ზოლური ორკონტრურიანი ფილტრი კონტრურებს შორის გარეტევადური 2C18 კავშირით. პირველი კონტრური აწყობილია 2C17, 2L7, 2L8, 2C16, 2R8 ელემენტებზე, მეორე კი — 2L9, 2C19, 2C20, 2R9 ელემენტებზე.

ზოლური ფილტრიდან შუალედური სიხშირის სიგნალები ტევადობითი 2C19 2C20 გამყოფის გავლით გადაეცემა 2T2 და 2T3 ტრანზისტორებზე კასკადური სქემით აკრეფილ მეორე კასკადის ბაზურ წრედს.

ტრანზისტორების მუშაობის რეჟიმი მუდმივი დენით განსაზღვრულია ბაზურ წრედებში ჩართული 2R10, 2R12, 2R13, 2R14 ძაბვის გამყოფითა და 2T3 ტრანზისტორის ემიტერის წრედში ჩართული 2R17 რეზისტორით. 2C23, 2C24, 2C25 კონდენსატორები განმრთავი ტევადობებია ცვლადი დენის მიმართ.

გშსმ-ის მეორე კასკადის ღარენტრიორთვაა ორკონტრურიანი 2L10, 2L11, 2L12, 2L13, 2C26, 2C28, 2C29, 2C31 ფილტრი, აწყობილი გშსმ-ის გატარების საშუალო სიხშირეზე. ფილტრის კონტრურებს შორის კავშირი რეგულირდება 2L11, 2L12 კოქების საერთო გულარით.



ნაბ. 7. 1<sub>4</sub>


ზოლური ფილტრის: წრედში ჩართულია 2L14 2C27 რეჟექტორული კონტური, აწყობილი 40,5 მგც სიხშირეზე.

ზოლური ფილტრიდან 2C28 2C29 ტევადობითი გამყოფით სიგნალი გადაეცემა გშსმ-ის მესამე კასკადს, აწყობილს საერთო ემისიურის სქემით ჩართულ 2T4 ტრანზისტორზე. ამ ტრანზისტორის მუდმივ დენზე მუშაობის რეჟიმი განისაზღვრება ბაზის წრედში ჩართული 2R18, 2R19, 2R20 რეზისტორებითა და ემიტერის წრედში ჩართული 2R23 რეზისტორით. 2C30, 2C32, 2C33 კონდენსატორი რები განმრთავი ტევადობებია.

გშსმ-ს მესამე კასკადის დატვირთვაა ზოლური ორკონტურიანი 2L15 2L16 2C34 (I კონტური) და 2L17 2L18 2C35 (II კონტური) ფილტრი. კონტურებს შორის კავშირი ინდუქციურია. ზოლური ფილტრის დატვირთვაა ვიდეოდეტექტორი.

ვიდეოდეტექტორი შესრულებულია 2Д1 ლიოდზე, რომლის დატვირთვაა 2R24 რეზისტორი და სიხშირული მახასიათებლის კონსტრუქციის 2Др1, 2R25, 2Др2 ელემენტები. ვიდეოდეტექტორის დატვირთვაზე გამოყოფა გამოსახულებისა და ხმის შუალედური სიხშირის განვალები, რომლებიც გადაეცემა 2T5 (ვიდეომაძლიერებლის I კასკადი) ტრანზისტორის ბაზურ წრედს.

ვიდეომაძლიერებლი ორკასკადიანია (ნახ. 7. 2). პირველი კასკადი შესრულებულია 2T5 ტრანზისტორზე დატვირთვის გაყოფილი



ნახ. 7. 2.

სქემით, მეორე კ— 2T6 ტრანზისტორზე საერთო ემიტერის სქემით.

2T5 ტრანზისტორის კოლექტორის წრედის დატვირთვიდან (2R37 რეზისტორი) იხსნება ვიდეოსიგნალი გარ-ის სქემისათვის, ხოლო ტრანზისტორის ემიტერული წრედის დატვირთვიდან (2R33 რეზისტორი) — 2T6 ტრანზისტორის ბაზური წრედისათვის და სინქრონიზაციის სქემისათვის. 2T5 ტრანზისტორის ემიტერულ წრედში ჩართულია 2C44 2L20 რეჟექტორული კონტური, აწყობილი ხმის 6,5 გვკც შუალედურ სიხშირეზე.

2T5 ტრანზისტორის მუშაობის რეჟიმი განისაზღვრება ბაზურ წრედში ჩართული 2R28 2R29 2R30 2R32 ძაბვის გამყოფითა და ემიტერის წრედში ჩართული 2R33 რეზისტორით. ბაზურ წრედს ძაბვა მიეწოდება ვიდეოდეტექტორის დატვირთვიდან 2R29 2R30 2R32 ძაბვის გამყოფით. რეგულირება შესაძლებელია 2R30 პოტენციომეტრით. ვიდეოსიგნალის ამპლიტუდის ცვლილებისას 2T5 ტრანზისტორის კოლექტორზე ძაბვის ცვლილების საკომპენსაციოდ. კოლექტორის წრედი 2R37, 2R34, 2R35 რეზისტორების გავლით იკვებება +24 და +150 ვ ძაბვებით.

2T6 ტრანზისტორის ბაზა უშუალოდ მიერთებულია 2T5 ტრანზისტორის ემიტერის წრედშითან. ამიტომ ვიდეომაძლიერებლის მეორე კასკადის მუშაობის რეჟიმი განისაზღვრება პირველი კასკადის მუშაობის რეჟიმით.

2T6 ტრანზისტორის ემიტერის წრედში ჩართულია 2R38, 2R120, 2R121 რეზისტორები, რომლებიც ვიდეომაძლიერებლის გამომავალ კასკადში წარმოქმნიან უარყოფითი უკუკავშირის წრედს.

კონტრასტულობის რეგულირება ხდება 2R120 პოტენციომეტრით. სიხშირეული მახასიათებლის კორექციისათვის 2T6 ტრანზისტორის კოლექტორულ წრედში ჩართულია 2R40, 2R42 რეზისტორებისა და 2Др4, 2Др5 დროსელებისაგან წარმოქმნილი ვიდეომაძლიერებლის დატვირთვა.

ვიდეომაძლიერებლის დატვირთვიდან ვიდეოსიგნალი მიეწოდება კინესკოპის ფათოლს, კინესკოპის სხივის დენის შეზღუდვისა (2D3, 2C48) და ექრანის ამოწვისაგან დაცავი (2R45, 2R46, 2C49) სქემების გავლით.

7. 2. გაძლიერების ავტომატური რეგულირება (გვრ)


გარ-ის სქემა (ნახ. 7. 3) შედგება 2T8 ტრანზისტორზე აწყობილი გამღები კასკადისაგან, 2R63, 2C59, 2D6 გამასწორებელი ფილტრითა და 2T10 ტრანზისტორზე აწყობილი მუდმივი დენის მაძლიერებლისაგან.

ვიდეომაძლიერებლის პირველი კასკადის დატვირთვიდან 2R59 რეზისტორის გავლით 2T8 ტრანზისტორის ბაზას მიეწოდება დადებითი პოლარობის სრული ვიდეოსიგნალი, ხოლო 2C57 კონდენსატორისა და 2D5 ღიოდის გავლით კოლექტორის წრედს — სტრიქონული გაშლის, უკუსელის დაღებითი პოლარულობის იმპულსები 3Tr4 ტრანზისტორმატორიდან.

2T8 ტრანზისტორის გამღები ძაბვა რეგულირდება 2R62 პოტენციომეტრით („გარ-ის დაყენება“), რომლის საშუალებითაც იცვლება ძაბვა 2T8 ტრანზისტორის ემიტერზე. 2T8 ტრანზისტორის კოლექტორის დენით იმუხტება 2C57 კონდენსატორი, რომელზედაც ძაბვა პროპორციულია ვიდეოსიგნალის სიდიდით.

გარ-ის ძაბვა 2R63 2C59 2D6 ფილტრის გავლით გადაეცემა 2T10 ემიტერული გამეორებლის სქემით ჩართული ტრანზისტორის ბაზას.

2T10 ტრანზისტორზე აწყობილი მუდმივი დენის მაძლიერებლის დატვირთვაა 2R68, 2R69 რეზისტორები. 2R69 პოტენციომეტრიდან (გარ-ის საწყისი რეჟიმი) გარ-ის ძაბვა მიეწოდება გშემ-ის პირველ კასკადს, ხოლო 2D7 ღაყოვნების ღიოდიდან — მაღალსიხშირულ CK-M-15 ბლოკს.




ნახ. 7. 3.

7. გვერდითი ახლო

ბერითი არხი შეღვება ბშემ-ისა, სიხშირული დეტექტორისა და დაბალი სიხშირეების მაძლიერებლისაგან.

ბშემ ორკასკალიანია, აწყობილია 2T11, 2T12 და 2T13 ტრანზისტორებზე (ნახ. 7. 4.). ვიდეომაძლიერებლის პირველი კასკადიდან 2C62, 2C63 ტევადობით გამყოფით ბშეს სიგნალები მიეწოდება ბშემ-ის პირველ კასკადზე. ეს კასკადი აწყობილია კასკადური სქემით და მისი დატვირთვაა ორკონტურიანი 2C66 2L22, 2L23 2C68 2C69 ზოლური ფილტრი. ინტუქციური კავშირით კონტრუებს შორის. ტრანზისტორების ბაზურ წრედებში ჩართული 2R74, 2R75, 2R76 ჩეზისტორები და 2T11 ტრანზისტორის ემიტერულ წრედში ჩართული 2R80, 2R82 რეზისტორები განსაზღვრავს კასკადის მუშაობის რეჟიმს მულტივი დენის მიმართ. 2R79 რეზისტორი 2T12 ტრანზისტორის კოლექტორულ წრედში ამაღლებს კასკადის მუშაობის მდგრადობას.

ბშემ-ის მეორე კასკადი აწყობილია საერთო ბაზის სქემით 2T13 ტრანზისტორზე. მისი დატვირთვაა სიხშირული დეტექტორის ფაზის გადამწევი ტრანსფორმატორი. 2T13 ტრანზისტორის ემიტერულ წრედში სიგნალი მიეწოდება 2C68, 2C69 ტევადობითი გამყოფიდან. 2R80, 2R88, 2R89 რეზისტორები განსაზღვრავს ტრანზისტორის მუ-



ნახ. 7. 4.

შაობის რეჟიმს, ხოლო 2R87 რეზისტორი და 2C76 კონდენსატორი გამოყენებულია განმრთ ფილტრად.


ბშემ იკვებება +24 ვ ძაბვით. რომელიც მას მიეწოდება 2R87 2C73 2C67 ფილტრის გავლით.

სტაციონარული დეტექტორი წილადური დეტექტორის სქემით შესრულებულია 2Д9 და 2Д10 დიოდებზე (ნახ. 7, 4).

წილადური დეტექტორის, 2C79, 2C80 კონდენსატორების შეერთების წერტილიდან იხსნება დაბალი სიხშირის ძაბვა. რომელიც გამოფი 2C82 კონდენსატორისა და 2R126 (ჩმამალლობა) პოტენციომეტრით ვადაცემა დაბალი სიხშირის მაღლიერებელს (დსმ):

დსმ სამკაუჭიანია (ნახ. 7, 5.). პირველი კასკადი აწყობილია საერთო ემიტერის სქემით ჩართულ 2T14 ტრანზისტორზე, რომლის დატვირთვა 2R100 რეზისტორი. ეს რეზისტორი ჩართულია ტრანზისტორის კოლექტორის წედში. 2T14 ტრანზისტორის ემიტერულ წრედში ჩართულია 2R103 რეზისტორი; გამოყენება უარყოფითი უკუკავშირის ძაბვის შესაქმნელად.

პირველი კასკადის დატვირთვილან 2C88 გამუიფი კონდენსატორით




ნახ. 7. 5.

